

**დიპლომატისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი**

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სწავლები წელი				ამონტი ECTS კრედიტი
				I	II	III	IV	
				ECTS კრედიტი				
			სავალდებულო ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5	10			15
CIS 1151	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა - ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი	5				

			ერთეულები, ოპერაციული სისტემა, საოფისე პროგრამები, ინტერნეტ-ტექნოლოგიები.								
HIST 0003	არ აქვს	საქართველოს ისტორია	კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიის საკვანძო საკითხებს საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადებიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ქართველი ხალხის (მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.	5							
AW 1250	არ აქვს	აკადემიური წერა	სალექციო კურსი მიმოიხილავს აკადემიური ტექსტის შექმნის თავისებურებებს, აკადემიურ ნაშრომზე მუშაობის ძირითად ეტაპებს, აკადემიური წერის სხვადასხვა ჟანრებს და წერის პროცესის შეფასებას საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპების გათვალისწინებით.	5							
		ინგლისური ენა (სავალდებულო)		5	5	5	5				20
ENGL 0005	არ აქვს	B1.0 ზოგადი ინგლისური	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება სტუდენტების არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი, იგი გადაჰყავს ენის შესწავლის ახალ საფეხურზე (ბ1 დონე); კურსში გათვალისწინებულია ოთხივე ენობრივი კომპეტენცია - მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა.	5							

ENGL 0007	არ აქვს	B2.0 ზოგადი ინგლისური	მოცემული სალექციო კურსი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ-ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე (ბ2 დონე), რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებს.								
ENGL 0006	ENGL 0005	B1 ზოგადი ინგლისური	ეს კურსი ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი, ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძლებად, რომლებიც მომავალი აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული.		5						
ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური	კურსი აქცენტირებულია, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ-ჩვევის დახვეწაზე და, ლექსიკური და გრამატიკული მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები; ისაუბროს და წერის ბ2 დონის ადეკვატური ენობრივი რესურსების გამოყენებით. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწავს სამეტყველო და წერილობით უნარ-ჩვევებს.								
ENGL 0007	ENGL 0006	B2.0 ზოგადი ინგლისური	მოცემული სალექციო კურსი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ-ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე (ბ2			5					

			დონე), რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწის მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებს.									
ENGL 0009	ENGL 0008	C1.0 ზოგადი ინგლისური	კურსი სტუდენტს აძლევს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის სრულყოფილად დაუფლების საფუძველს; აცნობს მას არა მხოლოდ ენას და ენობრივ ნორმებს, არამედ მთლიან ევროპულ სოციალურ-კულტურული გარემოს.									
ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური/	კურსი აქცენტირებულია, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ-ჩვევის დახვეწაზე და, ლექსიკური და გრამატიკული მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები; ისაუბროს და წერის ბ2 დონის ადეკვატური ენობრივი რესურსების გამოყენებით. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწავს სამეტყველო და წერილობით უნარ-ჩვევებს.				5					
ENGL 0010	ENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური	ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის შესწავლის დასკვნით ეტაპს, რომლის წარმატების გავლის შემდეგაც სტუდენტს გააჩნია ენის ოთხივე კომპეტენციის სრულყოფილი ცოდნა ც1 დონეზე: მოსმენა, კითხვა, წერა და საუბარი.									
		<b>მერავ უცხო ენა (სავალდებულო)</b>							5	5	5	20

FREN 0001, SPAN 0001, GERM 0001, RUS 0001, TURK 0001	არ აქვს	უცხო ენა, I ნაწ. (A1.0)	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტესტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში.					5				
FREN 0002, SPAN 0002, GERM 0002, RUS 0002, TURK 0002	უცხო ენა, I ნაწ A1.0	უცხო ენა, II ნაწ. (A1)	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.					5				
FREN 0003, SPAN 0003, GERM 0003, RUS 0003, TURK 0003	უცხო ენა, II ნაწ A1	უცხო ენა,III ნაწ. (A2.0)	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას.					5				
FREN 0004, SPAN 0004, GERM 0004, RUS 0004, TURK 0004.	უცხო ენა, III ნაწ A2.0	უცხო ენა, IV ნაწ. (A2)	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.					5				
		დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული		20	15	25	25	10	15	10	15	135

SOCP 1150	არ აქვს	სოციალური ფსიქოლოგია	კურსი სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების, თეორიებისა და ემპირიული კვლევის მეთოდების შესავალია. კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: სოციალური კოგნიცია და პერცეფცია, ატრიბუცია, ატიტუდები და მათი შეცვლა, იდენტობა და თვითშეფასება, აგრესია და ალტრუიზმი, კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა და სხვ. კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს სოციალურ-ფსიქოლოგიური გადმოსახედიდან აზროვნება და განუვითაროს მათ ყოველდღიური სოციალური სიტუაციებისა და მოვლენების გაანალიზების უნარი.	5								
DEC 1150	არ აქვს	დემოკრატია და მოქალაქეობა	კურსი ითვალისწინებს დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ სტუდენტის ცოდნის ფორმირებას, უნარების განვითარებას და განწყობილებების ჩამოყალიბებას. კურსის შინაარსი: დემოკრატიის პრინციპები; მართვა - გამგეობა და საზოგადოება; ადამიანის უფლებები; სამოქალაქო საზოგადოება; მოქალაქეთა თანამონაწილეობა.	5								
CIVI 1150	არ აქვს	კულტურა და ცივილიზაცია	კურსი სტუდენტებს აცნობს კულტურისა და ცივილიზაციის არსეს, გაიაზრებს და წარმოაჩენს მათ შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აანალიზებს მათი განვითარების ეტაპებს, კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებას უძველესი დროიდან დღემდე. სალექციო კურსი სტუდენტს წარმოდგენას უქმნის	5								

			კულტურისა და ცივილიზაციების აღმოცენების პირობებზე, უძველეს ადამიანთა გარემოსთან დამოკიდებულებაზე, მითოსურ აზროვნებასა და რელიგიურ სისტემებზე, კაცობრიობის მიერ შექმნილ მრავალსაუკუნოვან ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, განათლებისა და აღზრდის სისტემებზე.								
PHIL 1150	არ აქვს	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	კურსის განმავლობაში ყურადღება დაეთმობა ტექსტების სილრმისეულ ანალიზს; მიმდინარე მსოფლიმხედველობითი პარადიგმის ცვლილების პროცესს; მოძღვრებებს ზოგადადამიანური პრობლემებისა და სიცოცხლის საზრისის ძიების კონტექსტში; პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, რელიგიისა და ესთეტიკის ტრანსდისციპლინარულ ურთიერთმიმართებებს ამჟამინდელ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში; ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ნების მნიშვნელობის უპირატესობის გააზრებას.	5							
DIP 1250	არ აქვს	დიპლომატიის ისტორია XVII-XIX საუკუნეებში	კურსი მოიცავს XVII-XIX საუკუნეებში ევროპის მთავარ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე პროცესების (როგორც დიპლომატიური მოლაპარაკებების, ისე საომარი მოქმედებების) შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციასა და ანალიტიკურ ხედვებს. კურსის დამთავრებისას სტუდენტებს ექნებათ ცოდნა საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების, მისი ცვლილებებისა და დროთა განმავლობაში კორექტირებების შესახებ. ისინი გაიგებენ, თუ რა როლი აქვს სახელმწიფოს მმართველს და რამდენად	5							

			შეუძლია მის გადაწყვეტილებებს ძირფესვიანად შეცვალოს ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე.							
POLS 1250	არ აქვს	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების რაობა, სისტემები და რეჟიმები, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფო და სახელმწიფოს მართვის მექანიზმები, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები. კურსი ასევე ითვალისწინებს ცოდნის მიცემას საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის წესრიგისა და გლობალიზაციის დინამიკის შესახებ.	5						
STAT 1250	არ აქვს	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	სტატისტიკური ანალიზის მეთოდების კურსი სტატისტიკის შესწავლის: ლოგიკური ანალიზის ელემენტებს, ფინანსური მათემატიკის ელემენტებს, ძირითად მათემატიკურ მოდელებს, მათი გამოკვლევის საფუძვლებს, აღწერილობითი სტატისტიკის ცნებებს, დიაგრამებს, ჰისტოგრამებს, მათ შედგენის და ანალიზის მეთოდებს, ალბათობის თეორიის ელემენტებს და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტებს.	5						
IR 2150	არ აქვს	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	კურსის მიმდინარეობისას განხილული და შესწავლილი იქნება შემდეგი საკითხები: საერთაშორისო ურთიერთობების საგანი, არსი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა; საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა; საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების შემსწავლელი სკოლები. ასევე განხილული იქნება აშშ საგარეო	5						

			პოლიტიკის ძირითადი პროგრამები; ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ასპექტები. კურსი ასევე მოიცავს ახალ გეოპოლიტიკურ დღის წესრიგს.								
PA 2150	არ აქვს	შესავალი სახელმწიფო მართვაში	სტუდენტები გაეცნობიან სახელმწიფო მართვის, როგორც აკადემიური დისციპლინის განვითარების ისტორიასა და დარგის ძირითად თეორიებს. ეს არის ინტერდისციპლინარული კურსი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვა სოციალურ მეცნიერებებთან, როგორებიცაა პოლიტიკა, სოციოლოგია, ფინანსები და სხვა. სტუდენტები გაეცნობიან დემოკრატიისა და კარგი მმართველობის, სტრატეგიული და ზოგადი მენეჯმენტის, ორგანიზაციული თეორიისა და ქცევის, სამოხელეო ეთიკის ძირითად პრინციპებს.		5						
LAW 2150	არ აქვს	სამართლის საფუძვლები	კურსი მოიცავს იმ ძირითად პრინციპებს და ღირებულებებს, რასაც ეფუძნება სამართალი. სტუდენტები გაეცნობიან, თუ როგორ და რა მეთოდებით ხდება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება. კურსში განხილულია სამართლის კარდინალური საკითხები და სამართლის ის ძირითადი დარგები, რომელთა შესახებ ელემენტარული ცოდნა სახელმწიფო მართვის განმახორციელებელი ნებისმიერი სუბიექტისთვის სავალდებულო და აუცილებელია.		5						
QQDA 2151	არ აქვს	კვლევის მეთოდები	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის თანამედროვე თვისებრივ მეთოდებს და მათი გამოყენების		5						

			საფუძვლებს; ისინი შეიძენენ საბაზო კომპეტენციებს კვლევითი პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანალიტიკური ანგარიშების/ნაშრომების მომზადებისათვის.								
ECON 2150	არ აქვს	შესავალი ეკონომიკაში	კურსი მოიცავს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებს, მიკრო და მაკროეკონომიკურ თეორიებს. სტუდენტები მიიღებენ საფუძვლიან ცოდნას ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ. კურსში განხილულია ისეთ საკითხები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ციკლები, მაკროეკონომიკური პარამეტრები, ფულის ბაზარი, მონეტარული პოლიტიკა და ა.შ.		5						
COMP 2250	არ აქვს	შესავალი შედარებით პოლიტიკაში	შესავალი შედარებით პოლიტიკაში მიმოიხილავს შედარებითი პოლიტიკის, როგორც მეცნიერების, მირითად ტენდენციებს. კურსი შეისწავლის სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ სისტემებს და მათი შედარების მეთოდოლოგიას. ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ევროპული და ასევე, ზოგიერთი არაევროპული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს.		5						
HRD 2250	არ აქვს	ადამიანის უფლებები და დემოკრატია	კურსის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა მირითადი სტანდარტები და მათი გავლენა სახელწიფოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე; ასევე, უფლებათა დაცვის სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. კურსის მეორე ნაწილი დაეთმობა კონკრეტულ უფლებებს,		5						

			რომელთა დაცვის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეფასებებისას.								
IE 2250	ECON 2150	შესავალი საერთაშორისო ეკონომიკაში	სასწავლო კურსში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის მახასიათებლები, და ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები მცურავი და ფიქსირებული სავალუტო კურსების პირობებში, ასევე, საერთაშორისო მონეტარული სისტემის ევოლუციისა და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები.			5					
LAW 2251	LAW 2150	შესავალი საერთაშორისო სამართალში	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობან შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო სამართლის ისტორია, მისი წყაროები და ზოგადი პრინციპები, მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. კურსი საერთაშორისო სამარტლის ჭრილში განიხილავს სახელმწიფოს, სუვერენიტეტის, ტერიტორიის და იურისდიქციის ცნებებს, თვითგამორკვევისა და სეცესიის შემთხვევებს, ძალის გამოყენებისა და შეიარაღებული კონფლიქტების რეგულირებას, თავდაცვის უფლებას, დაცვის ვალდებულებას, დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობის საერთაშორისო სამართლებრივ მოწესრიგებას და სხვა.			5					

DIP 2250	არ აქვს	<b>დიპლომატიის ისტორია XX-XXI საუკუნეები</b>	კურსის განმავლობაში განხილული და შესწავლილი იქნება შემდეგი საკითხები: მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური ურთიერთობები, კერძოდ, ბალკანეთის ომები, პირველი მსოფლიო ომი, 1919 წლის პარიზის საზავო კონფერენცია და ვერსალის ზავი (1919 წ.), ასევე განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მოკავშირეთა საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დასასრული, ცივი ომის დაწყების მიზეზები და ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება, 21-ე ს-ის გამოწვევები და ა.შ.				5					
INTS 3150	არ აქვს	<b>საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები</b>	კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობან საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლებსა და ძირითად კონცეფციებს, რომლებსაც არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოყენებაც გააჩნიათ. კურსი ასევე ფოკუსირდება უსაფრთხოების ეროვნული კულტურების თავისებურებებზე, თანამედროვე უსაფრთხოების გარემოსა და აქტორებზე, ასევე მათ აქტუალურ პრობლემებზე და შესაბამისი პოლიტიკის საშუალებით მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე.					5				
ENGP 0150	ENGL 0008/ENGL 0010	<b>PTI პროფესიული სამიზნე ენა</b>	ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის					5				

			საფუძველს ცოდნის გასაღრმავებლად არამარტო ევროპული უცხო ენის ფარგლებში, არამედ მთლიანი ევროპული სოციალურ-კულტურული გარემოს კონტექსტში.								
IPE 0050	არ აქვს	ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა	სასწავლო კურსი შეეხება ევროკავშირის ინსტიტუტებს და პოლიტიკას, ისევე როგორც ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და შეთანხმებებს. კურსის მიმდინარეობისას მოხდება ევროკავშირის ახალი პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების ანალიზი, ასევე განიხილება გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკომისიაში, მინისტრთა საბჭოში, ევროპულ საბჭოში და ევროპის პარლამენტში.					5			
GFDP 3250	არ აქვს	საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა	სასწავლო კურსში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკური და უსაფრთხოების სისტემის თავისებურებები, მიმდინარე ტენდენციები საქართველოსთან მიმართებაში. საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები მიმართულებები, კონცეპტუალური ბაზა, მიმდინარე პროცესები და არსებული გამოწვევები.					5			
IRT 3250	არ აქვს	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	კურსის მიზანია სტუდენტებს შესწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი თეორიები და აჩვენოს, თუ როგორ ხსნან საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებს განსხვავებული თეორიული მიდგომები.					5			

USFP 4150	არ აქვს	ამერიკის საგარეო პოლიტიკა	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აშშ-ს საგარეო პოლიტიკურ ასპექტებსა და მიმოიხილავენ მის თავისებურებებს, განააღმდებენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, გაეცნობიან ქვეყნის პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკას და მოახდენენ მათი პოლიტიკის შედარებით ანალიზს ისტორიულ კონტექსტში. კურსი აგრეთვე განიხილავას ქვეყნის საშინაო აქტორების მიმართებას საგარეო პოლიტიკურ ასპექტებთან, ძალაუფლებისა გადანაწილებას პრეზიდენტსა და კონგრესს შორის და ა.შ.						5
STST 4150	არ აქვს	სტრატეგიული სწავლებები	კურსში მოცემულია სტრატეგიული აზროვნების განვითარების ევოლუციის საკმარის დეტალური სურათი, აღწერილია სტრატეგიის თანამედროვე სწავლებანი და 21-ე საუკუნეში სტრატეგიული დაგეგმვის, სტრატეგიული მართვის თეორიები და საუკეთესო პრაქტიკა, აგრეთვე მოცემულია მეთოდიკა და ინსტრუმენტები სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგსა და შეფასებას, სტრატეგიული ინტერვენციების მართვას, სტრატეგიული რისკების შეფასებასა და ანალიზს.						5
GEOP 4250	არ აქვს	სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა	ეს კურსი მომოიხილავს სამხრეთ კავკასიის მოკლე ისტორიას. განსახილველი საკითხები მოიცავს რეგიონის იდენტურობას, მისი მოდერნიზაციისა და განვითარების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიულ განვითარების საკითხებს.						5

BTH 4250	არ აქვს	საბაკალავრო ნაშრომი	<p>საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს საბაკალავრო სწავლების ბოლო ეტაპის დამასრულებელ და შემაჯამებელ ინდივიდუალურ პროექტს. ძირითადი აქცენტი კეთდება კვლევითი კითხვისა და მეთოდების სათანადო შერჩევაზე, თეორიული და ემპირიული მასალის ანალიზზე. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, წინამდებარე სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების და საბაკალავრო ნაშრომის შესახებ დებულების შესაბამისად.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სკოლის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია სადიპლომო ნაშრომში წამოჭრილი პრობლემის კვლევის გამოცდილება.</p>										
		<b>დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები მოდული/თავისუფალი კრედიტები</b>						<b>15</b>	<b>10</b>	<b>15</b>	<b>10</b>	<b>50</b>	
CFP 0050	არ აქვს	შედარებითი საგარეო პოლიტიკა	<p>საგანი მიმოიხილავს სხვადასხვა სიდიდის, ძალისა და გავლენის მქონე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საგარეო პოლიტიკას ამ ქვეყნების პოლიტიკურ სისტემასთან და საშინაო პოლიტიკასთან მიმართებაში. სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს მათი ისტორიული წარსულის, განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მსოფლმხედველობისა და სხვადასხვა გავლენების კონტექსტში. პოლიტიკური სისტემის და საგარეო პოლიტიკის კავშირის განხილვა მოხდება</p>					<b>5</b>					

			განსხვავებული პოლიტიკური სისტემის მქონე სხვადასხვა ზომის და ძალის ოთხი სახელმწიფოს ბრიტანეთის, აშშ-ს, რუსეთისა და საქართველოს მაგალითზე								
HIST 0052	არ აქვს	საქართველოს სამხედრო ისტორია	სასწავლო კურსი ეხება საქართველოში სამხედრო საქმის განვითარების ისტორიას, სახელმწიფოს და ქვეყნის შეიარაღებული ძალების წინაშე არსებულ გამოწვევებს. კურსი ქონილობიურად მოიცავს ანტიკური ხანიდან პერიოდს 1921 წლის ჩათვლით. განიხილება სამხედრო საქმის განვითარება მსოფლიოსა და საქართველოში უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით.					5			
ICOM 0050	არ აქვს	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	კურსის ამოცანაა სტუდენტებს გააცნოს კულტურათაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები, მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები, თანამედროვე მრავალფეროვანი მსოფლიოს რეგიონულ კულტურათა თავისებურებანი, ინდივიდთა თავაზიანი ქცევის ზოგადად მიღებული ნორმები და პრინციპები, მორწმუნეთა ქცევის განმსაზღვრელი რელიგიური დოგმები და მცნებები, მსოფლიოს ხალხთა ეროვნული ხასიათის თავისებურებები, მათი ყოფითი რეალიები.					5			
IT 0050	არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმი	სალექციო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს საერთაშორისო ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები, მისი განვითარების ისტორიული პროცესი, დინამიკა და სხვადასხვა სახის გამოვლინებები. კურსი საშუალებას					5			

			მისცემს სტუდენტს, გააანალიზოს ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგია, მოქმედების მეთოდები და ტაქტიკები. კურსის ფარგლებში მიმოვიხილავთ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა: სუიციდური ტერორიზმი, მარტოხელა მგლის ფენომენი, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მექანიზმები რადიკალიზაციასთან ბრძოლის პროცესში და სხვა.						
HEI 0050	არ აქვს	ევროპის ინტეგრაციის ისტორია	კურსის ფარგლებში მოხდება 1940-იანი წლებიდან მოყოლებული ისტორიული პროცესების შედარება დღეს მიმდინარე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებთან კურსის განმავლობაში გამოიყენება კარიკატურების მეთოდოლოგია, კერძოდ, ყველა ისტორიული მოვლენის ფარგლებში ხდება იმ მოვლენასთან დაკავშირებული აქტუალური კარიკატურის განხილვა და ანალიზი. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს სრულად ეცოდინებათ ევროკავშირის ისტორიული პროცესები და შეეძლებათ პარალელები გაავლონ დღეს მიმდინარე პროცესებსა და ისტორიულ ხდომილებებს შორის.				5		
LAPS 0050	არ აქვს	ლათინური ამერიკის პოლიტიკური სისტემები	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობან ლათინური ამერიკის ისტორიას, პოლიტიკურ სისტემებსა და თანამედროვე გამოწვევებს. კურსი მოიცავს პერიოდს მე-19 საუკუნიდან დღემდე. კურსი აქცენტს აკეთებს მსფლიოს წამყვან სახელმწიფოებსა და ზესახელმწიფოებრივ აქტორებს შორის არსებულ კონკურენციაზე რეგიონთან მიმართებაში.				5		

WET 0050	არ აქვს	ომის ეთიკა-მისი უპირატესობები და შეზღუდვები	კურსის ფარგლებში სტუდენტების მიიღებენ ცოდნას ომის კომპლექსურ ხასიათთან დაკავშირებით. ნახავენ თუ რას გულისხმობს სამართლიანი ომის ტრადიცია. მათ შესაძლებლობა ექნებათ გაანალიზონ ის კომპლექსური ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს მორალსა და პოლიტიკურ ფილოსოფიას, საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის.					5			
IO 0051	არ აქვს	საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა	კურსის გვლის შედეგად სტუდენტები მიიღებენ ფართო ცოდნას დღეს მსოფლიოში მოქმედი მნიშვნელოვანი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების შესახებ. შეისწავლიან მსოფლიოს უმთავრესი სო-ის ინსტიტუციურ სტრუქტურას, მიზნებს და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს; კურსი განიხილავს სო-ის ეფექტურობა/არაეფექტურობას, ინსტიტუციური თანამშრომლობის შეზღუდვებს. საგანი შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების როლს გლობალური მმართველობის კონტექსტში.					5			
PFDP 0050	არ აქვს	საუბრები საჯარო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე	კურსი ითვალისწინებს ლექციებს საჯარო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. კერძოდ, ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ევროატლანტიკური ინტეგრაციის თემები, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესი, საქართველოს სახელმწიფოს ისტორია და სხვა. კურსის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ შეხვედრა მაღალი თანამდებობის პირებთან, ექსპერტებთან და					5			

			დიპლომატიური წარმომადგენლებთან.	კორპუსის								
MEAS 0050	არ აქვს	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა	კურსი წარმოადგენს სიღრმისეულ შესავალს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთერთობებსა და პოლიტიკაში. კურსის ფარგლებში მსჯელობის საგანი იქნება ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფია, ეთნო- რელიგიური შემადგენლობა, რეგიონში არსებული ნაციონალური და ტრანსნაციონალური იდენტობები და იდეოლოგიები, გლობალური პოლიტიკის გავლენა რეგიონზე და პირიქით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკა და, გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნებისა და კონფლიქტების მაგალითები სიღრმისეული ანალიზისათვის.					5				
IPS 0050	არ აქვს	შესავალი მშვიდობის კვლევებში	კურსის მიზანია სტუდენტებს შესწავლოს მშვიდობის კვლევებთან დაკავშირებული თეორიები და მშვიდობის კონცეპტუალიზაცია. კურსის ფარგლებში განხილული იქნება კონფლიქტის და მშვიდობის ურთიერთმიმართება და კონფლიქტის და მშვიდობის გამომწვევი მიზეზები, როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფოს შიგნით და ინდივიდუალურ დონეზე.						5			
DA 0050	არ აქვს	მონაცემთა ანალიზი	კურსი უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტი MICROSOFT EXCEL-ის შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა - პროგრამის ინტერფეისის ელემენტები; მონაცემთა შეტანა და ფორმატირება; სამისამართო სისტემა;						5			

			ფორმულები და ფუნქციები; მონაცემთა ანალიზი და ა.შ.							
DIPLO 0050	არ აქვს	დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი	სასწავლო კურსის მონაწილეები შეისწავლიან, ისეთ აქტუალურ და პრაქტიკულ საკითხებს, როგორიცაა დიპლომატიური პროტოკოლის არსი, ფუნქცია და პროცედურები, დიპლომატიური ეტიკეტის საერთაშორისოდ მიღებული წესები და ეროვნული თავისებურებები.						5	
NTH 0050	არ აქვს	ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები	კურსი ითვალისწინებს ნაციონალიზმის ძირითადი საკითხებისა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მისი გავლენის შესახებ სტუდენტის ცოდნის ფორმირებას, უნარების განვითარებას და განწყობილებების ჩამოყალიბებას. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ერისა და ნაციონალიზმის ცნებები, ნაციონალიზმის ტიპოლოგია, ნაციონალიზმის თეორიები, გეოპოლიტიკური თეორიები, ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში, მინინაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები, ნაციონალიზმი ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება და ა.შ.						5	
ACP 0050	არ აქვს	აზიის ქვეყნების პოლიტიკა	კურსი მოიცავს აზიური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესწავლას. მიმოიხილავს აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, მათ როლსა და გავლენას მსოფლიო პოლიტიკაზე. კურსი სამუალებას მისცემს სტუდენტებს უფრო სიღრმისეულად გაეცნონ აღმოსავლეთის ქვეყნების						5	

			პოლიტიკას, როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური მასშტაბით.							
GEOP 0050	არ აქვს	საზოგადოებრივი გეოგრაფია	სასწავლო კურსი განმარტავს „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“, როგორც მეცნიერული დისციპლინის, მნიშვნელობას, აქტუალობას, მიზანსა და ამოცანებს, მეთოდურ აპარატსა და შიდა სტრუქტურას, კავშირს სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სტრუქტურა, ძირითადი კონცეფციები და ცნებები.					5		
RUFP 0050	არ აქვს	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	სასწავლო პროგრამის I ნაწილი ეთმობა თეორიულ დისკურსს: სტუდენტები გაეცნობიან ისტორიული მემკვიდრეობის გავლენას თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაზე; კურსის II ნაწილი ეთმობა რუსეთის მრავალმხრივ დიპლომატიას და მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში. III ნაწილში კი მიმოხილული იქნება რუსეთის ორმხრივი ურთიერთობები ამერიკის, ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება რუსეთის პოლიტიკაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და კრემლის სტრატეგიაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.					5		

IPE 0050	არ აქვს	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები	სასწავლო კურსში განხილულია II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კონცეფციები და გლობალურ არენაზე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედება, გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები, ასევე, საერთაშორისო მონეტარული და სავაჭრო სისტემების ფუნქციონირებისა და მათი გლობალური რეგულირების თავისებურებები.							5	
PCPD 4150	არ აქვს	ევროპული ინტეგრაცია ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების კონტექსტში	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ევროპული ინტეგრაციის ისტორიასა და მის მომავალს. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაანალიზონ ევროკავშირში მიმდინარე რეფორმები, ინტეგრაციის ისეთი აღტერნატიული მოდელები, როგორიცაა EEA, EFTA და ორმხრივი, მაგალითად EU-შვეიცარიის შეთანხმებები. კურსი ასევე მოიცავს ევროკავშირის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ასოცირების შეთანხმებასთან. განხილული იქნება ისეთი მიმდინარე საკითხებიც, როგორიცაა Brexit, მიგრაცია ევროკავშირში და ევროკავშირის ციფრული პოლიტიკა. კურსის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა ასევე, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას.							5	
HSCS 0050	არ აქვს	პოლიტიკური კომუნიკაცია და საჯარო დიპლომატია	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეიძენენ ცოდნას პოლიტიკური კომუნიკაციისა და საჯარო დიპლომატიის მირითადი პრინციპების შესახებ. კურსი ფოკუსირებულია შიდა და საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტული მაგალითების შესწავლასა და განხილვაზე, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პოლიტიკური კომუნიკაციების როლზე							5	

			საერთაშორისო პოლიტიკაში. სტუდენტებს მოეთხოვებათ იმუშაონ სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახულ ტექსტებსა და გამოსვლებზე.								
HSCS 0050	არ აქვს	ჰიბრიდული ომი, სტრატეგიული კომუნიკაცია და კიბერუსაფრთხოება	სასწავლო კურსის განმავლობაში შესწავლის და განხილვის საგანი იქნება უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები. ჩვენი ამოცანაა გავანალიზოთ და ვისწავლოთ კონფრონტაციის პრაქტიკულად ყველა სახეობა, გარდა კონვენციური ომისა. შესაბამისად, ვისაუბრებთ კიბერუსაფრთხოებაზე, პროპაგანდაზე, გავლენის და ფსიქოლოგიურ ოპერაციებზე, იდეოლოგიურ კონფრონტაციაზე და სხვა.							5	
UNPK 0050	არ აქვს	გაეროს სამშვიდობო ოპერაციები	კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის სამშვიდობო ოპერაციების არსის/კონცეფციის, იურიდიული საფუძვლებისა და პრაქტიკის სიღრმისეულ მიმოხილვას. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, კურსი სტუდენტებს აძლევს ფართო თეორიულ ცოდნას კონფლიქტის მსვლელობის, მისი მოგვარებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის გამოყენებული საერთაშორისო მექანიზმების შესახებ.							5	
WE 0050	არ აქვს	მსოფლიო ეკონომიკა	კურსის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მსოფლიო ეკონომიკისა და გლობალიზაციის ისტორიის შესახებ, გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან დღემდე.							5	
CMN 0050	არ აქვს	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისათვის აუცილებელი ის თეორიული და პრაქტიკული							5	

			წანამდლვარები, რომელთა ცოდნა 5 4 აუცილებელია მომლაპარაკებლის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად.							
ES 0050	არ აქვს	ენერგეტიკული უსაფრთხოება	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს საერთაშორისო ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის მირთადი საკითხები. აღნიშნული საგანი მიმოიხილავს ენერგეტიკული კომპონენტის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ასევე ანალიზებს ენერგეტიკული კონფლიქტებისა და ენერგეტიკული კრიზისების გავლენას მონაწილე ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში.						5	
PCA 0050	არ აქვს	აფრიკის ქვეყნების პოლიტიკა და კონფლიქტები	სალექციო კურსი მოიცავს პერიოდს XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე და ეხება აფრიკის რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და წარმოქმნილ კონფლიქტებს.						5	
		საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მოდული (არჩევითი)								
POLS 0050	არ აქვს	საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები	სხვადასხვა საარჩევნო სისტემების განხილვა და ანალიზი, შათი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების წარმოჩენა. საარჩევნო სისტემებზე დაყრდნობით, პოლიტიკური პარტიების ანალიზი. ამომრჩეველთა ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები და მათ გადაწყვეტილებაზე გავლენის მომხდენი ასპექტების განხილვა.					5		
PPA 0050	არ აქვს	შესავალი საჯარო პოლიტიკაში	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას საჯარო პოლიტიკის ანალიზის მიმართულებით.					5		

			კერძოდ, კურსის მსვლელობისას სტუდენტები გეცნობიან საჯარო პოლიტიკის პრობლემის შინაარსს და სტრუქტურას. სტუდენტები ისწავლიან საჯარო პოლიტიკის ანალიზს, პრობლემის მოგვარების ალტერნატივების შესწავლას და მომხმრაბელთან კომუნიკაციას.							
LDR 3250	არ აქვს	ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში	კურსის მსვლელობისას სტუდენტები შეისწავლიან სახელმწიფო მართვის სისტემაში არსებულ სტრატეგიულ და ზოგად მენეჯმენტს, ორგანიზაციულ თეორიისა და საჯარო მოხელეების ქცევის, ლიდერობისა და ეთიკის ძირითად პრინციპებს. ყურადღება გამახვილდება სახელმწიფო მართვის სისტემაში მოხელის როლზე, ასევე საჯარო სექტორის მართვის თავისებურებებზე.					5		
PFM 2250	ECON 2150	საჯარო ფინანსების მართვა	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, როგორიცაა: სახელმწიფო ფინანსები, ბიუჯეტის არსი და მისი ფუნქციები, სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო ფინანსების მართვაში, სახელმწიფოს საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვასთან, მართვასთან, კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ეტაპები.					5		
PR 0050	არ აქვს	საზოგადოებასთან ურთიერთობა	კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის, ტაქტიკის შემუშავების, მოქალაქეთა მონაწილეობისა და დაგეგმვის კამპანიების შესახებ.					5		

			ამავდროულად, კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით შეძლებენ სტრატეგიის შემუშავებას, მათ შორის, საჯარო გამოსვლებისა და ქცევის, ეთიკისა და PR-ის მოდელების გათვალისწინებით.								
SOCI 0050	არ აქვს	შესავალი სოციოლოგიაში	მოცემულ კურსში სტუდენტები გაეცნობან სოციოლოგიის არსებობის, როგორც საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებას, შეისწავლიან სოციოლოგიის კლასიფიკაციებს, ემპირიული და თეორიული სოციოლოგიის საფუძვლებს. კურსი აგებულია მირითადი სოციოლოგიური პარადიგმების არსებული სოციალური რეალობის მიმართ აპლიკაციის პრინციპზე.						5		
OGC 0050	არ აქვს	ორგანიზაციული და ჯგუფური კონფლიქტების მართვა	სტუდენტები შეისწავლიან ჯგუფური და ორგანიზაციული კონფლიქტის დინამიკას, მის გამომხატველ ფაქტორებსა და მახასიათებლებს, კონფლიქტის განვითარებისა და მართვის ტექნიკებს, რომელიც საბოლოო ჯამში მათ საშუალებას მისცემს უკეთ მართონ და უხელმძღვანელობ როგორც ინდივიდებს, ისე ჯგუფებსა და დიდ ორგანიზაციებს. სასწავლო კურსი მოიცავს ფასილიტაციის და მედიაციის სხვადასხვა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს.						5		
GPAR 0050	არ აქვს	საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები	სასწავლო კურსი ყურადღებას გაამახვილებს სახელმწიფო მართვის, უფრო ფართო გაგებით, საჯარო მმართველობის შემდგომი დემოკრატიზაციისა და საზოგადოებასთან დაახლოების პრობლემატიკაზე, იმ ამოცანებზე, რომელიც აუცილებელია გადაწყდეს						5		

			მმართველობის თანამედროვე სისტემების დაწერგვისა და საჯარო მმართველობის ეფექტურის შემდგომი ზრდის თვალსაზრისით.								
EGOV 4250	არ აქვს	ელექტრონული მმართველობა	კურსში მოცემულია ელექტრონული მმართველობის განვითარების ისტორია საქართველოში და მსოფლიოს რამდენიმე წარმატებულ ქვეყანაში, აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და საუკეთესო პრაქტიკა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას, ნორმატიული ბაზის ანალიზს და ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების დაწერგვას, აგრეთვე ღია/გამჭვირვალე მმართველობისა და ელექტრონული დემოკრატიის დამკვიდრებას.		—					5	
CPA 0050	არ აქვს	შედარებითი სახელმწიფო მართვა	კურსის მიზანია სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა შედარებით კონტექსტში. კურსი შეიცავს ცნებებს სახელმწიფო მართვის, საჯარო პოლიტიკის, შედარებითი პოლიტიკის და განვითარების კვლევების აკადემიური სფეროებიდან. სტუდენტები გაეცნობიან მმართველობით, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სისტემებს როგორც დასავლურ ქვეყნებში, ისე განვითარებადი სამყაროს ქვეყნებში.							5	
MGS 0050	არ აქვს	პროექტის მართვა	კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროექტის მენეჯმენტის მნიშვნელობა; პროექტის არსი და მიზნები, პროექტის სასიცოცხლო ციკლის ოთხივე სტადიის შესწავლა - პროექტის ინიცირება, დაგეგმვა, განხორციელება და დახურვა;							5	

			დაინტერესებულ მხარეებისა და გარემოს ანალიზის მეთოდებისა და პროცესის შესწავლა. პროექტის მენეჯერის და პროექტის გუნდის როლი და ფუნქციები. ეს კურსი დაეხმარება სტუდენტებს პროექტის მართვის საფუძვლების შესწავლასა და გააზრებაში.								
ECTS კრედიტები	სემესტრში		30	30	30	30	30	30	30	30	240
	წელიწადში		60	60	60	60					